

ბანამარტიპიტი ბარათი
„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“
საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადება განაპირობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამ, რის შედეგადაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ადრე არსებულმა გარემოსდაცვითმა ნებართვამ. კერძოდ – მას შეეცვალა დასახელება და გახდა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვა“ და ასევე მნიშვნელოვნად შეიცვალა მისი გაცემის წესი (პროცედურები).

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში მოხდება გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ერთი სარკმლის პრინციპის დამკვიდრება. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობების ოპტიმიზაციას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია აღმოფხვრას დღეისათვის არსებული საკანონმდებლო ხარვეზები და მოხდეს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ გაცემის პროცედურების შესაბამისობაში მოყვანა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონი აწესებს საქართველოს ტერიტორიაზე ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობების ამომწურავ ჩამონათვალს, საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნულ საქმიანობათა განსახორციელებლად გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის, ნებართვის გაცემისას ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მისი ინფორმირების სამართლებრივ საფუძვლებს.

კანონპროექტის მე-4 მუხლი საზღვრავს ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობებსა (მუხლში მოყვანილია საქმიანობათა კონკრეტული ჩამონათვალი) და საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭებაზე უფლებამოსილი ორგანოებს.

კანონპროექტის მე-5 მუხლის შესაბამისად ყველა იმ საქმიანობისათვის, რომელიც არ ექვემდებარებინა ეკოლოგიურ ექსპერტიზას, წესდება შესასრულებლად სავალდებულო „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტები“.

კანონპროექტის მე-6 და მე-7 მუხლები მოიცავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის, ჩატარებისა და საჯარო განხილვის შედეგების გაფორმების დეტალურ პროცედურებს.

კანონპროექტის მე-8 და მე-9 მუხლები არეგულირებენ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად წარსადგენი საბუთების საკითხსა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესს.

კანონპროექტის მე-10 და მე-11 მუხლებით განსაზღვრულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის საკითხები და შემთხვევები (პროცედურები) როდესაც შესაძლებელია საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლება.

კანონპროექტის მე-12 მუხლით განსაზღვრულია საქმიანობის განმახორციელებლის ძირითადი უფლება-მოვალეობანი, ხოლო მე-15 მუხლში ნებართვის გამცემის უფლება-მოვალეობანი.

კანონპროექტის მე-13, მე-14, მე-16, მე-17, მე-18, მე-19 და მე-20 მუხლებით განსაზღვრულია ისეთი პროცედურული საკითხები როგორცაა: გარემოზე

ზემოქმედების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები; ნებართვის გაცემაზე უარის გასაჩივრება; სანებართვო მოწმობის ფორმა; სანებართვო მოწმობის დაკარგვა ან დაზიანება; ნებართვის სხვა პირისათვის გადაცემა; კონტროლი სანებართვო პირობების შესრულებაზე და პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის და ნებართვის გაუქმება.

კანონპროექტის 21-ე მუხლის შესაბამისად:

ა) ამ კანონის მიღებამდე ისეთი საქმიანობებისათვის გაცემული გარემოსდაცვითი ან გარემოზე ზემოქმედების ნებართვები, რომლებიც ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ექვემდებარებიან ეკოლოგიურ ექსპერტიზას, ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას და მათზე ვრცელდება ამ კანონით დადგენილი ნორმები.

ბ) პირი, რომელსაც „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობაზე მიღებული აქვს გარემოსდაცვითი ნებართვა ან სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, უფლებამოსილია განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემა. სამინისტრო ვალდებულია დაუყოვნებლივ გასცეს აღნიშნული მოწმობა. ასეთ შემთხვევაში განცხადების შემომტანი თავისუფლდება სანებართვო მოსაკრებლის გადახდისაგან.

გ) ამ კანონის მე-4 მუხლით პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობა, რომლის განხორციელებაც დაწყებულია „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებას 2009 წლის 1 იანვრამდე სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის (პროგრამის) შესაბამისად.

დ) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნებართვის მისაღებად წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა ასახავდეს როგორც გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს (ეკოლოგიური აუდიტი), ისე მიმდინარე საქმიანობით გამოწვეულ გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელ ღონისძიებათა გეგმას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება დამატებით გავლენას არ მოახდეს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება დამატებით ფინანსურ გავლენას არ მოახდეს იმ პირებზე ვისზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა აქვთ მიღებული საქართველოს იუსტიციის, ფინანსთა, ეკონომიკური განვითარების, სოფლის მეურნეობისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებს;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

საქართველოს იუსტიციის, ეკონომიკური განვითარების, სოფლის მეურნეობისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების მიერ კანონპროექტის მიმართ გამოთქმული იქნა გარკვეული შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონპროექტის წინამდებარე რედაქციაში;

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი;

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.